

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი		საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში:				
1989 წლის 21 დეკემბრის საბჭოს მეთერთმეტე დირექტივა 89/666/EEC „წევრ სახელმწიფოში სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული ტიპის კომპანიების მიერ გახსნილი ფილიალების მიმართ გასაჯაროებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ“. ¹		№1. საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“ №2. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ №3. საქართველოს კანონის პროექტი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	1. წევრ სახელმწიფოში იმ ფილიალთან დაკავშირებული დოკუმენტები და მონაცემები, რომელიც წევრ სახელმწიფოში გახსნილია იმ კომპანიის მიერ, რომელიც რეგულირდება სხვა წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით და რომელზეც ვრცელდება საბჭოს დირექტივა 68/151/EEC, უნდა გასაჯაროვდეს ფილიალის წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, ზემოთ აღნიშნული დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად. 2. როდესაც ფილიალის მიმართ გასაჯაროების მოთხოვნები განსხვავდება კომპანიის მიმართ არსებული გასაჯაროების მოთხოვნებისგან, ფილიალის მიმართ არსებული გასაჯაროების				ას	დირექტივის პირველი მუხლის მოთხოვნები მიემართება წევრი სახელმწიფოების კომპანიათა იმ ფილიალებს, რომლებიც მეორე წევრ სახელმწიფოში დაფუძნდებიან. შესაბამისად, დირექტივის პირველი მუხლის დებულებები საქართველოსათვის, როგორც არაწევრი სახელმწიფოსათვის, არარელევანტურია.

¹ ცხრილის შედგენისას გამოყენებულია დირექტივის კონსოლიდირებული ვერსია 06/07/2012-ის მდგომარეობით. 89/666/EEC დირექტივა გაუქმებულია EU 2017/1132 დირექტივით, თუმცა არ იცვლება მისი შინაარსი, ამიტომ არ წარმოშობს პრობლემას დინამიური დაახლოების ჭრილში.

	მოთხოვნებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა აღნიშნულ ფილიალთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან მიმართებით. 3. მე-2 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტები და მონაცემები საჯაროდ უნდა იქნას ხელმისაწვდომი ცენტრალური, კომერციული და კომპანიათა რეესტრების ურთიერთკავშირის სისტემის საშუალებით, რომელიც ჩამოყალიბებულია ევროპარლამენტის 2009/101/EC დირექტივის 4a(2) მუხლის შესაბამისად და საბჭოს 2009 წლის 16 სექტემბრის გარანტიების კოორდინირების შესაბამისად, რომელთა გატარებაც მოეთხოვებათ წევრი სახელმწიფოს კომპანიებს წევრებისა და მესამე პირთა ინტერესების დასაცავად ხელშეკრულების 54-ე მუხლის მეორე პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, იმ მიზნით, რომ ამგვარი გარანტიები გახდეს ექვივალენტური. ('რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემა'). მისი მე-3b და მე-3c(1) მუხლი უნდა გამოიყენებოდეს <i>mutatis mutandis</i>. 4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ფილიალებს ჰქონდეთ ინდივიდუალური მაიდენტიფიცირებელი, რათა ცხადად მოხდეს მათი იდენტიფიცირება რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემის მეშვეობით კომუნიკაციისას. ინდივიდუალური მაიდენტიფიცირებელი უნდა მოიცავდეს, სულ ცოტა, ისეთ ელემენტებს, რომლებიც შესაძლებელს გახდის წევრი სახელმწიფოს რეესტრის, დაფუძნების ადგილობრივი რეესტრის და ამ რეესტრში ფილიალის ნომრის იდენტიფიცირებას, და საჭიროების შემთხვევაში, მახასიათებლებს, არასწორი იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად.					
2	1. პირველი მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო გასაჯაროება მოიცავს მხოლოდ შემდეგ დოკუმენტებსა და მონაცემებს: (a) ფილიალის მისამართი; (b) ფილიალის საქმიანობა;				ას	იხ.: დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 კელში

(c) რეესტრი, რომელშიც შენახულია საბჭოს დირექტივის 68/151/EEC მე-3 მუხლში აღნიშნული ფაილი, აღნიშნულ რეესტრში არსებულ სარეგისტრაციო ნომერთან ერთად; (d) კომპანიის დასახელება და სამართლებრივი ფორმა და ფილიალის დასახელება, თუ ის კომპანიის დასახელებისგან განსხვავდება; (e) იმ პირთა დანიშვნა, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტა და მათი მონაცემები, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება წარმოადგინონ კომპანია მესამე მხარეებთან გარიგებების დადებისას და სამართალწარმოებისას; - როგორც კანონის თანახმად ჩამოყალიბებული კომპანიის ორგანო, ან როგორც აღნიშნული ორგანოს წევრები, კომპანიის მიერ გასაჯაროების შესაბამისად, საბჭოს დირექტივის 68/151/EEC მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (d) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, - როგორც კომპანიის მუდმივი წარმომადგენლები ფილიალის საქმიანობის განხორციელების მიზნით, მათი უფლებამოსილების ფარგლების მითითებით; (f) კომპანიის ლიკვიდაცია, ლიკვიდატორთა დანიშვნა, მათ შესახებ მონაცემები, მათი უფლებამოსილებები და ლიკვიდაციის შეწყვეტა, კომპანიის მიერ საბჭოს დირექტივის 68/151/EEC მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (h), (j) და (k) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გასაჯაროების შესაბამისად, - გადახდისუნარიობის საქმისწარმოების პროცესი, მოწესრიგება და კომპრომისული შეთანხმებები, ან სხვა ანალოგიური საქმის წარმოება, რომელსაც კომპანია ექვემდებარება; (g) ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, მე-3 მუხლის შესაბამისად; (h) ფილიალის დახურვა. 2. წევრ სახელმწიფოს, რომელშიც გახსნილია ფილიალი, უფლება აქვს, როგორც მითითებულია მუხლში 1, უზრუნველყოს				
--	--	--	--	--

	(a) ამ მუხლის პირველი პუნქტის (e) და (f) ქვეპუნქტებში მითითებულ პირთა ხელმოწერის გასაჯაროება; (b) სადამფუძნებლო დოკუმენტები და წესდება, თუ ისინი ცალკე დოკუმენტაციაში ინახება საბჭოს დირექტივის 68/151/EEC მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (a), (b) და (c) ქვეპუნქტების შესაბამისად, ამ დოკუმენტებში შესულ შესწორებებთან ერთად; (c) ცნობა ამ მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეესტრიდან, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის არსებობასთან; (d) მითითება წევრ სახელმწიფოში განთავსებულ კომპანიის ქონებაზე არსებულ ფასიან ქაღალდებზე, თუ ასეთი გასაჯაროება ეხება აღნიშნული ფასიანი ქაღალდების მოქმედების ვადას.					
3	მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (g) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო გასაჯაროება შემოიფარგლება კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი დოკუმენტებით, რომლებიც შედგენილი, შემოწმებული და გასაჯაროებულია წევრი სახელმწიფოს იმ კანონმდებლობის თანახმად, რომლითაც რეგულირდება კომპანია საბჭოს დირექტივების 78/660/EEC, 83/349/EEC და 84/253/EEC შესაბამისად;				ას	იხ.: დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 ველში
4	წევრ სახელმწიფოს, რომელშიც ფილიალია გახსნილი, შეუძლია დაადგინოს ისეთი სავალდებულო პირობა, რომ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის (b) ქვეპუნქტში და მე-3 მუხლში მითითებული დოკუმენტები გამოქვეყნდეს გაერთიანების სხვა ოფიციალურ ენაზე და რომ ასეთი დოკუმენტების თარგმანი იქნეს დამოწმებული.				ას	იხ.: დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 ველში
5	თუ კომპანიამ წევრ სახელმწიფოში გახსნა ერთზე მეტი ფილიალი, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის (b) ქვეპუნქტში და მე-3 მუხლში მითითებული გასაჯაროება შესაძლებელია განხორციელდეს კომპანიის მიერ შერჩეული ფილიალის რეესტრში.				ას	იხ.: დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 ველში

	ამ შემთხვევაში, სხვა ფილიალების მიერ სავალდებულო გასაჯაროება უნდა მოიცავდეს იმ ფილიალის რეესტრის მონაცემებს, რომლის გასაჯაროებაც განხორციელდა, აღნიშნულ რეესტრში აღნიშნული ფილიალისთვის მინიჭებულ ნომერთან ერთად.					
5a	1. კომპანიის რეესტრმა რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემის მეშვეობით ხელმისაწვდომი უნდა გახადოს, შეუფერხებლად, ინფორმაცია ნებისმიერი საქმიანობის შეწყვეტის პროცედურის დაწყების და დასრულების, ან კომპანიის გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესის და რეგისტრაციიდან ამოშლის შესახებ, თუ რეესტრის წევრ სახელმწიფოში ამოშლა წარმოქმნის სამართლებრივ შედეგებს. 2. ფილიალის რეესტრმა შეუფერხებლად უნდა უზრუნველყოს პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაციის მიღება რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემის მეშვეობით. 3. პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული ინფორმაციის გაცვლა რეესტრებისთვის უნდა იყოს გადასახადებისგან თავისუფალი. 4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული ინფორმაციის მიღების შემდგომი პროცედურის ჩამოყალიბება. ეს პროცედურა უნდა უზრუნველყოფდეს, კომპანიის ლიკვიდაციის ან სხვაგვარად რეგისტრაციიდან ამოშლისას, ასევე მისი ფილიალების შეუფერხებლად ამოშლას რეგისტრაციიდან. 5. მე-4 პუნქტის მეორე წინადადება არ გამოიყენება იმ კომპანიათა ფილიალების მიმართ, რომლებიც ამოიშალნენ რეგისტრაციიდან სამართლებრივი ფორმის ნებისმიერი ცვლილების, შერწყმის ან დაყოფის, ან იურიდიული მისამართის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრაციის შედეგად.				ას	იხ.: დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 ველში

6	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ ისეთი პირობა, რომ ფილიალის მიერ გამოყენებულ წერილებსა და შეკვეთის ფორმებში, საბჭოს დირექტივის 68/151/EEC მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად, აღნიშნული იყოს რეესტრი, რომელშიც ფილიალთან დაკავშირებული ფაილი ინახება, აღნიშნულ რეესტრში აღნიშნული ფილიალისთვის მინიჭებულ ნომერთან ერთად.	№1	14.6	მეწარმის, ასევე, საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები პასუხისმგებელი არიან ამ კანონით გამოქვეყნებისთვის გათვალისწინებული მონაცემების რეესტრისთვის მიწოდებაზე. ამ ვალდებულების დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.	სშ	
7	1. წევრ სახელმწიფოში იმ კომპანიის მიერ გახსნილი ფილიალის დოკუმენტები და მონაცემები, რომელიც არ რეგულირდება წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, მაგრამ გააჩნია ისეთი სამართლებრივი ფორმა, რომელიც შეესაბამება კომპანიის ისეთ ტიპებს, რომლებზეც ვრცელდება საბჭოს დირექტივა 68/151/EEC, უნდა გასაჯაროვდეს აღნიშნული ფილიალის წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ზემოთ აღნიშნული დირექტივის მე-3 მუხლშია განსაზღვრული.	№1 №1	16.4 16.5	საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი უნდა წარედგინოს მარეგისტრირებელ ორგანოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული ფორმით. განცხადება საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის რეგისტრაციაზე უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ა) მეწარმის საფირმო სახელწოდებას; ბ) მეწარმის იურიდიულ მისამართს; გ) მეწარმის საქმიანობის ძირითად ადგილს; დ) მეწარმის სამართლებრივ ფორმას და იმ ქვეყანას, რომლის კანონმდებლობაც ვრცელდება ამ მეწარმის რეგისტრაციაზე; ე) იმ ორგანოს დასახელებას, სადაც რეგისტრირებულია მეწარმე და რეგისტრაციის ნომერს, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობით რეგისტრაცია სავალდებულოა, ან არ არის სავალდებულო, თუმცა მეწარმე რეგისტრირებულია; ვ) მეწარმის ფინანსურ და კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს, თუკი ასეთი ანგარიშგებები მოიპოვება; ზ) ფილიალის საფირმო სახელწოდებას, რომელიც შედგება მეწარმის საფირმო სახელწოდებისგან დანამატით „ფილიალი“; თ) ფილიალის იურიდიულ მისამართს; ი) ფილიალის ხელმძღვანელის საიდენტიფიკაციო მონაცემებსა და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოცულობას. თუ ფილიალს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე რამდენიმე პირი ჰყავს, უნდა აღინიშნოს, ისინი ერთად წარმომადგენენ ფილიალს თუ ცალ-ცალკე;	სშ	

	2. გამოყენებულ უნდა იქნეს პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.	№3	1.2.(20 ¹ .4)	კ) მეწარმის, ასევე ფილიალის საქმიანობის საგანს, რომლის მითითებისასაც გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები საწარმოს საქმიანობის საგნის წესდებაში განსაზღვრის შესახებ; ლ) ფილიალის რეგისტრაციის მომენტისთვის სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ოდენობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.		
				4. სუბიექტი წარმოშობილად, რეგისტრირებული მონაცემები შეცვლილად, რეგისტრაცია შეწყვეტილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.	სშ	
8	მე-7 მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო გასაჯაროება მოიცავს სულ მცირე შემდეგ დოკუმენტებსა და მონაცემებს: (ა) ფილიალის მისამართს;	№1	16.5.„თ“	განცხადება საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის რეგისტრაციაზე უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: თ) ფილიალის იურიდიულ მისამართს;	სშ	
	(ბ) ფილიალის საქმიანობას;	№1	16.5. „ვ“	განცხადება საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის რეგისტრაციაზე უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: კ) მეწარმის, ასევე ფილიალის საქმიანობის საგანს, რომლის მითითებისასაც გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები საწარმოს საქმიანობის საგნის წესდებაში განსაზღვრის შესახებ;	სშ	
	(ც) იმ სახელმწიფოს კანონმდებლობას, რომლითაც კომპანია რეგულირდება;	№1	16.5. „დ“	განცხადება საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის რეგისტრაციაზე უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: დ) მეწარმის სამართლებრივ ფორმას და იმ ქვეყანას, რომლის კანონმდებლობაც ვრცელდება ამ მეწარმის რეგისტრაციაზე;	სშ	
	(დ) რეესტრს, რომელშიც კომპანიაა დარეგისტრირებული და კომპანიის სარეგისტრაციო ნომერს მოცემულ რეესტრში, თუ ეს აღნიშნული კანონმდებლობით არის გათვალისწინებული;	№1	16.5. „ე“	განცხადება საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის რეგისტრაციაზე უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ე) იმ ორგანოს დასახელებას, სადაც რეგისტრირებულია მეწარმე და რეგისტრაციის ნომერს, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობით რეგისტრაცია სავალდებულოა, ან არ არის სავალდებულო, თუმცა მეწარმე რეგისტრირებულია;	სშ	

(e) სადამფუძნებლო დოკუმენტებს და წესდებას, თუ ისინი ცალკე დოკუმენტაციაში ინახება, ამ დოკუმენტებში შესულ შესწორებებთან ერთად;	№1	16.6. „ბ“	ფილიალის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას თან უნდა დაერთოს: ბ) კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და წესდება;	სშ	
(f) კომპანიის სამართლებრივ ფორმას, ძირითადი საქმიანობის ადგილს და მის მიზანს და წელიწადში სულ მცირე ერთხელ, გამოწერით გამოშვებული სააქციო კაპიტალის ოდენობას, თუ აღნიშნული მონაცემები არ არის მოცემული (e) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებში;	№1	16.5. „გ“ და „დ“	განცხადება საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის რეგისტრაციაზე უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: გ) მეწარმის საქმიანობის ძირითად ადგილს; დ) მეწარმის სამართლებრივ ფორმას და იმ ქვეყანას, რომლის კანონმდებლობაც ვრცელდება ამ მეწარმის რეგისტრაციაზე;	სშ	
	№1	16.5. „ვ“ და „ლ“	ვ) მეწარმის, ასევე ფილიალის საქმიანობის საგანს, რომლის მითითებისასაც გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები საწარმოს საქმიანობის საგნის წესდებაში განსაზღვრის შესახებ; ლ) ფილიალის რეგისტრაციის მომენტისთვის სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ოდენობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.		
	№1	16.7	ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან მარეგისტრირებელ ორგანოს აცნობონ ამ მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციისთვის სავალდებულო ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შესახებ, ასევე ფილიალის დახურვის, სამეწარმეო საზოგადოების დაშლის, ლიკვიდაციის პროცედურის დაწყებისა და დასრულების, ლიკვიდატორების ვინაობის, მათი დანიშვნის, უფლებამოსილების დასრულების, გადახდისუნარიობის საქმის წარმოების გახსნისა და დასრულების, ასევე მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.		
(g) კომპანიის დასახელებას და ფილიალის დასახელებას, თუ ის კომპანიის დასახელებისგან განსხვავდება;	№1	16.5. „ა“ და „ზ“	განცხადება საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის რეგისტრაციაზე უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ა) მეწარმის საფირმო სახელწოდებას; ზ) ფილიალის საფირმო სახელწოდებას, რომელიც შედგება მეწარმის საფირმო სახელწოდებისგან დანამატით „ფილიალი“;	სშ	

(h) იმ პირთა დანიშვნას, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტასა და მათ მონაცემებს, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება წარმოადგინონ კომპანია მესამე მხარეებთან გარიგების დადებისას და სამართალწარმოებისას: - როგორც კანონის თანახმად ჩამოყალიბებული კომპანიის ორგანო, ან როგორც ამ ორგანოს წევრები, - როგორც კომპანიის მუდმივი წარმომადგენლები ფილიალის საქმიანობის განხორციელებისთვის. წარმოდგენილი უნდა იყოს იმ პირთა ძალაუფლების ფარგლები, რომლებიც უფლებამოსილი არიან წარმოადგინონ კომპანია, იმასთან ერთად, შეუძლიათ თუ არა მათ აღნიშნულის დამოუკიდებლად განხორციელება, თუ ვალდებული არიან იმოქმედონ ერთობლივად;	№1	16.6. „გ“	ფილიალის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას თან უნდა დაერთოს: გ) დოკუმენტი, რომლიდანაც დგინდება სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა, მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ასევე, ინფორმაცია მისი დანიშვნისა და უფლებამოსილების ამოწურვის შესახებ. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მითითებას, პირი ფილიალს წარმოადგენს როგორც სამეწარმეო საზოგადოების ორგანოს წევრი თუ როგორც ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებით სამეწარმეო საზოგადოების მუდმივი წარმომადგენელი;	სშ	
(i) - კომპანიის ლიკვიდაციასა და ლიკვიდატორთა დანიშვნას, მონაცემებს მათ შესახებ, მათი უფლებამოსილებების შესახებ და ლიკვიდაციის შეწყვეტის შესახებ; - გადახდისუნარობის საქმისწარმოების პროცესს, მოწესრიგებას და კომპრომისული შეთანხმებების გაფორმებას, ან სხვა ანალოგიურ საქმისწარმოებას, რომელსაც კომპანია ექვემდებარება;	№1	16.7	ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან მარეგისტრირებელ ორგანოს აცნობონ ამ მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციისთვის სავალდებულო ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შესახებ, ასევე ფილიალის დახურვის, სამეწარმეო საზოგადოების დაშლის, ლიკვიდაციის პროცედურის დაწყებისა და დასრულების, ლიკვიდატორების ვინაობის, მათი დანიშვნის, უფლებამოსილების დასრულების, გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნისა და დასრულების, ასევე მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.	სშ	
(j) ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს მე-9 მუხლის შესაბამისად;	№1	16.6. „ვ“	ფილიალის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას თან უნდა დაერთოს: ვ) მეწარმის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილი, აუდიტირებული და გამოქვეყნებულია მეწარმის რეგისტრაციის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.	სშ	
(k) ფილიალის დახურვას.	№1	16.7	ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან მარეგისტრირებელ ორგანოს აცნობონ ამ მუხლით გათვალისწინებული	სშ	

				რეგისტრაციისთვის სავალდებულო ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შესახებ, ასევე ფილიალის დახურვის, სამეწარმეო საზოგადოების დაშლის, ლიკვიდაციის პროცედურის დაწყებისა და დასრულების, ლიკვიდატორების ვინაობის, მათი დანიშვნის, უფლებამოსილების დასრულების, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების გახსნისა და დასრულების, ასევე მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.		
9.1	მე-8 მუხლის პირველი პუნქტის (j) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო გასაჯაროება ვრცელდება კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებზე, რომლებიც შედგენილი, შემოწმებული და გასაჯაროებულია წევრი სახელმწიფოს იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომლითაც კომპანია რეგულირდება. თუ ისინი არ არიან დირექტივების 78/660/EEC და 83/349/EEC შესაბამისად შედგენილი, ან ისეთი წესით, რომელიც ექვივალენტურია აღნიშნული დირექტივებისა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების შედგენა და გასაჯაროება.	№1	16.6. „ვ“	ფილიალის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას თან უნდა დაერთოს: ვ) მეწარმის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილი, აუდიტირებული და გამოქვეყნებულია მეწარმის რეგისტრაციის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.	სშ	
9.2	გამოყენებულ უნდა იქნას მე-4 და მე-5 მუხლები.				ას	იხ.: დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 ველში
10	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, რომ ფილიალის მიერ გამოყენებული წერილები და შეკვეთის ბლანკები შეიცავდნენ იმ რეესტრს, რომელშიც ფილიალთან დაკავშირებული ფაილი ინახება, აღნიშნულ რეესტრში აღნიშნული ფილიალისთვის მინიჭებულ ნომერთან ერთად. თუ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომლითაც კომპანია რეგულირდება, მოითხოვს რეესტრში დარეგისტრირებას, რეესტრი, რომელშიც კომპანია რეგისტრირებული და კომპანიის რეგისტრაციის ნომერი ასევე უნდა იყოს მითითებული მოცემულ რეესტრში.	№1 №1	18.4 18.5	უცხო ქვეყნის სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის ყველა საქმიან წერილზე ასევე უნდა მიეთითოს ფილიალის მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის ნომერი. ყველა ის მონაცემი, რომელიც მიეთითება საქმიან წერილზე, ასევე უნდა მიეთითოს სამეწარმეო საზოგადოების ვებგვერდზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	სშ	

11	შემდეგი ქვეპუნქტი ემატება საბჭოს დირექტივის 78/660/EEC 46-ე მუხლის მე-2 პუნქტს: "e) კომპანიის ფილიალების არსებობა."				ას	დირექტივის მე-11 მუხლით ცვლილება შედის სხვა დირექტივაში და საქართველოსთვის არასავალდებულოა.
11a	პირადი ინფორმაციის ამ დირექტივის ფარგლებში დამუშავების პროცესი უნდა იყოს ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და ასეთი ტიპის მონაცემთა თავისუფალ გადაადგილებასთან მიმართებით ინდივიდების დაცვის თაობაზე 95/46/EC დირექტივის საგანი.				ას	აღნიშნული მუხლი ეხება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვას. საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვა რეგულირდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც, თავის მხრივ, შეესაბამება 95/46/EC დირექტივის მოთხოვნებს.
12	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ სათანადო ჯარიმები იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება იმ საკითხების გასაჯაროება, რომლებიც მითითებულია პირველ, მე-2, მე-3, მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებში და წერილებსა და შეკვეთის ბლანკებში მე-6 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული სავალდებულო მონაცემების გამოტოვების შემთხვევაში.	№2	1.3. (177 ¹⁶ (1 და 2))	1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა – გამოიწვევს სამეწარმეო საზოგადოების, ასევე, საზღვარგარეთ რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის გაფრთხილებას. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაფრთხილებით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება – გამოიწვევს სამეწარმეო საზოგადოების, ასევე, საზღვარგარეთ რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.	სშ	

			1.3. (177 ¹⁷ (1 და 2))	1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული სამეწარმეო საზოგადოების საქმიან წერილზე ინფორმაციის განთავსების ვალდებულების შეუსრულებლობა – გამოიწვევს სამეწარმეო საზოგადოების, ასევე, საზღვარგარეთ რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის გაფრთხილებას. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გაფრთხილებიდან 1 თვის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების განმეორებით დარღვევა – გამოიწვევს სამეწარმეო საზოგადოების, ასევე, საზღვარგარეთ რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის დაჯარიმებას, თითოეულ შემთხვევაში, 200 ლარის ოდენობით. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს შესაბამის სუბიექტს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულებისგან.		
13	თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა დაადგინოს, თუ ვინ განახორციელებს ამ დირექტივით განსაზღვრული გასაჯაროების ფორმალურ მხარეებს.	№1	16.7	ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან მარეგისტრირებელ ორგანოს აცნობონ ამ მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციისთვის სავალდებულო ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შესახებ, ასევე ფილიალის დახურვის, სამეწარმეო საზოგადოების დაშლის, ლიკვიდაციის პროცედურის დაწყებისა და დასრულების, ლიკვიდატორების ვინაობის, მათი დანიშვნის, უფლებამოსილების დასრულების, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნისა და დასრულების, ასევე მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.	სშ	
14.1	მე-3 და მე-9 მუხლები არ ვრცელდება საბჭოს დირექტივით 89/117/EEC გათვალისწინებული საკრედიტო დაწესებულებებისა და ფინანსური ინსტიტუტების მიერ გახსნილ ფილიალებზე.	№1	16.6. „ვ“	ფილიალის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას თან უნდა დაერთოს: ვ) მეწარმის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილი, აუდიტირებული და გამოქვეყნებულია მეწარმის რეგისტრაციის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.	სშ	
14.2	მომდევნო კოორდინაციამდე, წევრი სახელმწიფოებისთვის აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს მე-3 და მე-9 მუხლების გამოყენება იმ ფილიალებთან მიმართებაში,				ას	აღნიშნული ჩანაწერი თავისი შინაარსით მიემართება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიმართ და ამავედროულად არ წარმოადგენს სავალდებულო ხასიათის ნორმას

	რომლებიც გახსნილია სადაზღვევო კომპანიების მიერ.					
15	საბჭოს დირექტივის 78/660/EEC 54-ე მუხლი და საბჭოს დირექტივის 83/349/EEC 48-ე მუხლი უნდა იქნეს ამოღებული.				ას	ეხება სხვა დირექტივებში ცვლილების შეტანის საკითხს
16	1. წევრმა სახელმწიფოებმა, არაუგვიანეს 1992 წლის 1 იანვრისა, უნდა მიიღონ კანონმდებლობა, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც აუცილებელია ამ დირექტივასთან შესაბამისობისთვის. მათ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიას. 2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, რომ პირველ პუნქტში მითითებული დებულებების მოქმედება დაიწყოს 1993 წლის 1 იანვრიდან, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებთან მიმართებაში, აღნიშნული დებულებების მოქმედება პირველ რიგში დაიწყოს წლიურ ანგარიშგებებთან მიმართებით 1993 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის, ან წლიურ ანგარიშგებებთან მიმართებით 1993 წლის განმავლობაში. 3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას ეროვნული კანონმდებლობის დებულებათა ტექსტები, რომელსაც ისინი იღებენ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში.				ას	ეხება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ შიდა კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს
17	78/660/EEC დირექტივის 52-ე მუხლის თანახმად შექმნილმა საკონტაქტო კომიტეტმა ასევე: (a) ხელშეკრულების 169-ე და 170-ე მუხლების შეუზღუდავად, ხელი უნდა შეუწყონ ამ დირექტივის ჰარმონიზებულ გამოყენებას, იმ მორიგი კრებების მეშვეობით, რომლებიც კონკრეტულად ამ დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებულ პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს შეეხება; (b) საჭიროების შემთხვევაში კომისიას კონსულტაცია უნდა გაუწიოს ამ დირექტივაში დამატებებისა თუ შესწორებების შეტანასთან დაკავშირებით.				ას	ეხება საკონტაქტო კომიტეტის და წევრი სახელმწიფოებს შორის პროცედურულ საკითხებს

18	ეს დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.				ას	ეხება დირექტივის წევრი სახელმწიფოების გამოყენების საკითხს
----	---	--	--	--	----	---